საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/247

ქ. ბათუმი 21 ოქტომბერი, 2022 წ

2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრებისთვის,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2022 წლის 19 ოქტომბრის MES 7 22 0001322875 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრებისთვის,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებული საკონკურსო **დოკუმენტაციის წარმოდგენა** - 2022 წლის **21 ოქტომბრიდან 09 ნოემბრის** 15:00 საათამდე - ელექტრონულ პლათფორმაზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ბსუ-ს სტუდენტური პორტალის (https://portal.bsu.edu.ge/) საშუალებით;

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2022 წლის 10 ნოემბერი, 10:00-13:00 საათი;

გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენაში (ინგლისური B1/B2, ფრანგული და გერმანული B1)- 2022 წლის 11 ნოემბერი (ტესტირების ფორმატი და ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს, ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2022 წლის 14 ნოემბერი, 12:00 -15:00 საათი;

დ) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2022 წლის 15 ნოემბერი.

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - რექტორი (თავმჯდომარე);

ბ) ანზორ ბერიძე -რექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) თამარ სირაძე -რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (მდივანი);

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**